№2648 2015 წლის 11 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ (შემდგომში - სამინისტრო) „C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, C ჰეპატიტით დაავადებულთათვის პრეპარატ - „ჰარვონის“ შემოტანასთან დაკავშირებით მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, სარეკლამო საიმიჯო ვიდეო რგოლის დამზადებისა და მისი სატელევიზიო ეთერში განთავსების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებიდან (პროგრამული კოდი: 35 01 01).

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**